

## **„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ კვალდაკვალ**

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ბეჭდვითს ორგანოს წელს 45 წელი უსრულდება, ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიების მე-17 კრებული გამოდის. ამ წიგნებს თუ გადავხედავთ, არ დარჩენილა თითოეულის გამოსვლის დროს ენის სიწმინდისა თუ განვითარებისათვის სახიფათო არცერთი ტენდენცია, რომლის ანალიზი და კონკრეტული ენობრივი დარღვევა-უზუსტობის პრევენციისათვის საჭირო რეკომენდაციები არ შემოეთავაზებინოთ ავტორებს.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ არამხოლოდ ენათმეცნიერთა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ პირთა საკითხავია, კრებულში დაბეჭდილი ნებისმიერი სტატია საყურადღებო, გასაგები და სასარგებლოა ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომა, ვისაც ქართული ენის სიწმინდის დაცვა საშურ საქმედ ესახება.

თანამედროვე კომუნიკაციაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს დისკურსული კომპეტენცია აკლია, მოლაპარაკეთა უმრავლესობა მეტყველების კულტურის დაბალი დონით ხასიათდება. აღნიშნული პრობლემის მიმართ გულგრილი არც არასპეციალისტები არიან, რიგითი ადამიანების შეშფოთება იმ მუხტად უნდა ვაქციოთ, რომელიც არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს გვაპოვინებს. მშობლიური ენის შესწავლა მუდმივი პროცესია, ის არც საშუალო სკოლაში მთავრდება და არც მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურებზე. ამდენად, ენის მატარებელთა ინფორმირებისთვის კიდევ ბევრი სხვადასხვა გზაა მოსაძებნი. მართალია, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ ამ მიმართულებით სამაგალითოა, მაგრამ, ვფიქრობთ, კრებულის პოპულარიზაციაზე, მკითხველთა წრის გაფართოებაზე ზრუნვა აუცილებელია.

გამოცემულ თექვსმეტ წიგნში დაბეჭდილ სტატიებსა და ნარკვევებს შორის არაერთი ეძღვნება კომპოზიციას, როგორც ლექსი-

კის გამდიდრების საშუალებას, გვხვდება წერილები კომპოზიტა მართლწერის შესახებ. ჩვენც დასახელებული თემის განვრცობას შევცდებით უახლესი მაგალითებით.

როგორც ცნობილია, კომპოზიციის ერთ-ერთი პროდუქტიული მოდელია რთულ სიტყვათა პირველ შემადგენელ ნაწილად ურთიერთობითი ნაცვალსახელის „ურთიერთის“ ფუძის გამოყენება (ურთიერთგაგება, ურთიერთკავშირი, ურთიერთსიყვარული, ურთიერთდანმარება და სხვ.). აღნიშნული ნაცვალსახელის მონაწილეობით კომპოზიტი იძენს ერთმანეთთან რაიმე დამოკიდებულების, ერთმანეთთან კავშირის გამოხატვის შესაძლებლობას.

ბოლო დროის მედიადისკურსში სულ უფრო ხშირად გვხვდება კომპოზიტები, რომელთა სტრუქტურაში ნაცვალსახელი „ურთიერთ“ ისეთ ფუძეებს უძღვის, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ საურთიერთო მიმართებებს, მაგალითად: **ურთიერთგაზიარება, ურთიერთგადაჯაჭვული**, ამდენად, ამ ტიპის რთულ სიტყვებში გამოსახატავი სემანტიკური ნიშანი ორმაგად არის წარმოდგენილი – თავსართითა და ფუძით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად ნაწარმოები ფორმები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ძველ რედაქციაშიც არის შეტანილი: **ურთიერთმეგობრობა, ურთიერთგაწონასწორება, ურთიერთშეთანხმება, ურთიერთშედარება** თუ სხვ. საურთიერთო შინაარსის ჭარბად გამოხატვის შესამოწმებლად საკმარისია იმავე ლექსიკონის მიხედვით ამოსავალ და თხზულ ფორმათა დეფინიციების შედარება, რომელთა შორის სემანტიკურ დონეზე არსებითი განსხვავება არ იკვეთება, რასაც შემდეგი ცხრილიც ცხადყოფს:

1.	<b>ურთიერთმეგობრობა</b>	<b>ურთიერთს შორის</b> მეგობრობა, – <b>ერთმანეთთან</b> მეგობრული ურთიერთობა
	მეგობრობა	მეგობრებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა
2.	<b>ურთიერთგაწონასწორება</b>	<b>ურთიერთს, ერთმანეთს შორის</b> გაწონასწორება
	გაწონასწორება	სახელი გააწონასწორებს, გაწონასწორდება ზმნათა მოქმედებისა

	გააწონასწორებს	<b>ერთმანეთის</b> თანასწორს გახდის
3.	<b>ურთიერთ</b> შეთანხმება	<b>ურთიერთთან, ერთმანეთთან</b> შეთანხმება
	შეთანხმება	სახელი შეათანხმებს ზმნის მოქმედებისა
	შეთანხმებს	თანხმობას დაამყარებს მოწინააღმდეგე <b>მხარეებს შორის</b>
4.	<b>ურთიერთ</b> შედარება	<b>ურთიერთთან, ერთმანეთთან</b> შედარება
	შედარება	<b>ერთმანეთთან</b> შეპირისპირება მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად

„ურთიერთ“-ით ნაწარმოებ კომპოზიტებში მეორე ნაწილად შემავალი სახელის, საწყისისა თუ მიმღეობის სალექსიკონო განმარტებებში გვხვდება ურთიერთობითი ნაცვალსახელები **ურთიერთი** და **ერთმანეთი** ან **მრავლობით რიცხვში მდგომი სახელი**, რაც თვით ამ ფუძეთა მიერ საურთიერთო გრძნობის, მოქმედებისა თუ მდგომარეობის აღნიშვნას მოწმობს.

საურთიერთო შინაარსის ჭარბად გამოხატვა დასახელებულ ერთეულებში თუ ნაკლებსაგრძნობია, მეტად თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როდესაც „ურთიერთ“- გამოიყენება ისეთ რთულ ფუძეებთან, რომელთა პირველი ნაწილი „**თანა**“- ვინმესთან ან რამესთან ერთად ყოფნას, სხვასთან ზიარ მოქმედებას, საქმიანობას, განცდას აღნიშნავს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს თანამედროვე მედიადისკურსიდან: „ღონისძიებისათვის შეიქმნა ვიდეო-ინსტალაციები, რომლებშიც ასახულია ... ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი **ურთიერთთანაცხოვრება**“; „შეხვედრაზე განიხილება სიხშირულ მინიჭებებთან და განაწილებებთან დაკავშირებული **ურთიერთთანაარსებობის** საკითხები“; „ევროპის კომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის სავიზო პოლიტიკა **ურთიერთთანასწორობის** პრინციპს უნდა ემყარებოდეს“; „ყველაზე მნიშვნელოვანია წინასწარი გაყიდვებისა და საერთო ბიუჯეტის **ურთიერთთანაფარდობის** კოეფიციენტის დადგენა“. დასახელებულ ფორმებს თანამედროვე სამეცნიერო ტექსტებშიც ვხვდებით, მაგრამ ვერც სამეცნიერო დისკურსისათვის დამახასიათებელი ზედმიწევნითი სახელდება-აღწერით ვერ გავამართლებთ

ამგვარ წარმოებას. დავიმოწმებთ რამდენიმე სხვა მაგალითს, ერთ-ერთ სადისერტაციო ნაშრომში ამოვიკითხეთ – „ლექსის მშვენიერებას განსაზღვრავს შინაარსისა და ფორმის **ურთიერთთანა-განყოფილება**“; „ეს სწავლებანი ესოდენ კანონზომიერად **ურთიერთთანაშეწყობილი**, არის დაუნჯებული ამ ვრცელ ნაშრომში“; „აი ეს **ურთიერთთანაშერწყმული** მიზანდასახულობა აქვს წმინდა გრიგოლ ნოსელს“; „ჰოლუვის მოსაზრება ასევე ხაზს უსვამს თანასწორი და **ურთიერთთანაზიარი** ურთიერთობის ჩამოყალიბების მნიშვნელობას“ და სხვ.

ზოგ შემთხვევაში ამ ტიპის ფორმათა გამოყენება კონკრეტული კონტექსტით უნდა იყოს შეპირობებული, სახელდობრ, „ურთიერთ“-ით მართებულად ნაწარმოები სხვა რთული სიტყვის მეზობლობითა და ანალოგიით, მაგალითად: „ნაშრომში წარმოდგენილია საერთო ძირის ზმნური და სახელური ფუძეების ანალიზი და მათი გენეზისური **ურთიერთმიმართებისა** და **ურთიერთთანმიმდევრობის** ინტერპრეტაციის ცდა“; „ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი რუსეთ-საქართველოს შორის **ურთიერთხელსაყრელი, ურთიერთთანასწორი** ურთიერთობისა“ თუ სხვ.

აღნიშნული ყალიბის კომპოზიტაგან, რომლებსაც პლეონასტური შეგვიძლია ვუწოდოთ, ერთადერთი ფორმაა **ურთიერთთანამშრომლობა**, რომელიც ქეგლის ძველ რედაქციასა და მართლწერის ახალ ლექსიკონებში გვხვდება. დასახელებულ კონკრეტულ კომპოზიტში „ურთიერთ“-ის სიჭარბესა და ამ ფორმის გაჩენის მიზეზზე „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე წიგნში ვკითხულობთ: „ამგვარი კომპოზიტების შექმნისა და გავრცელებისათვის გზა უნდა გაეკაფა მათი გაშლილი ფორმით – პირიანი ზმნის სახით – ხმარებას, როცა ურთიერთ- სიტყვას ენაცვლება ერთმანეთი. ეს უკანასკნელი რომელიმე დამატების (პირდაპირი, ირიბი, უბრალო) როლს ასრულებს წინადადებაში“ (ქსკს 1985: 350). შდრ.: ურთიერთთანამშრომლობა – ერთმანეთთან თანამშრომლობენ. „მაგრამ ის, რაც აუცილებელია პირიანი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში, როგორც მისი სინტაქსური გამაფორმებელი და სემანტიკური შემავსებელი, არ არის აუცილებელი, – ზედმეტია უპირო ფორმის შემცველ რთულ სიტყვაში, ვინაიდან მისამართი პირები (სუბიექტი, ობიექტი) არ ჩანს, თვით სახელი კი ისედაც გამოხატავს საურთიერთო შინაარსს“ (იქვე).

პლენასტურ ფორმებს შორის გამოყენების სიხშირით პირველ ადგილს **ურთიერთთანამშრომლობა** იკავებს, რაც ექსტრალინგვისტური ფაქტორებით უფროა განპირობებული, ვიდრე იმით, რომ იგი ლექსიკონების ერთეულად გვხვდება. მედიადისკურსის საინფორმაციო ფუნქცია აქტუალური საკითხების რეგულარული ასახვაა, თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება კი თანამშრომლობის გარეშე არ არსებობს. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ თანამშრომლობაში მისი კომპონენტების ავტონომიურ ერთეულებად წარმოდგენა და აღქმა არ ხდება. ამ თვალსაზრისით ყველა პლენასტური სახელი ერთ რიგში არ დგას, მაგალითად, შდრ. **მიმდევრობის** გვერდით გვხვდება **თანამიმდევრობა**; **სწორის** გვერდით გვხვდება **თანასწორი** და ისინი ერთი და იმავე ან მსგავს შინაარსს გამოხატავენ, მაგრამ **მშრომელსა** და **თანამშრომელს** შორის ისეთივე მიმართება არ არის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საურთიერთო მიმართების გამომხატველი ურთიერთთანა-თი ნაწარმოები სინონიმურთავსართებიანი ფორმები აშკარად პლენასტურია და მათი დამკვიდრების საფუძველი, ქართულში მოქმედი სახელური და სახელწმინური სიტყვაწარმოებითი მოდელების გათვალისწინებით, არ არსებობს.

## ლიტერატურა

**ქსკს 1985** – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეშვიდე, თბილისი.

Salome Omiadze

## **In the Footsteps of “Issues of Georgian Speech Culture”**

### Summary

The department of Georgian Speech Culture at Arnold Chikobava institute of linguistics is going to publish the 17<sup>th</sup> collection of papers concerning the topical issues of the Georgian literary language (It started issuing the volumes 45 years ago). The dangerous tendencies for the purity and development of the language, their analysis, required recommendations for the prevention of certain linguistic problems have always been discussed by the authors of the volumes.

In the published sixteen volumes a number of articles and essays deal with the composition as one of the ways of enrichment of the vocabulary and the issues concerning the spelling of compounds. We discuss these topics in the present paper based on the latest examples.

As known, using the base of the reciprocal pronoun *urtiertis* as the first component of a compound is very productive means of composition (*urtiertgageba* “mutual understanding”, *urtiertkavširi* “interconnection”, *urtiertsqvaruli* “mutual love”, *urtiertdaxmareba* “mutual assistance”, etc.). Having the said pronoun as a component a compound gains the possibility of expressing interrelation, interdependence.

In recent times in the language of the mass media new compounds are often attested in which the pronoun *urtiert* precedes such bases that express mutual feelings or actions by themselves, e. g. **urtierttanacxovreba**, **urtierttanaarseboba**, **urtierttanasworoba**, etc. In the said examples the components *urtiert* and *tana* denote the same meaning and thus the compounds are pleonastic. There are no bases for their establishment if we take the nominal word formation models of the Georgian language into consideration.